



# შირაკი

## SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან  
დადოფლისწყაროს ენიციკლოპედიის გაზეთი

№43 (9.903)  
16 - 23 ნოემბერი 2019 წელი  
ფასი: 50 თეთრი  
ყოველკვირეული გამოცემა

### უმრავლესობის გადაწყვეტილება და პროტესტი ქუჩაში

გვ. 2



### მინის ხეგმის უსაფრთხოების საკითხები გააქნეს

გვ. 3



### ვინ წარადგენს დადოფლისწყაროს მუსიკალურ კონკურსში?

**ლუკა ყაჭაუვილი**

0 903 300 318

გვ. 8

**ნიკო სხორვაბაძე**

0 903 300 317

## სიკვდილით დასჯადი სისოცხლე, როგორც ბრძედება



გვ. 3

## სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერი პროგრამა იწყება

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), ევროკავშირის (EU) დახმარებით, აცხადებს საგრანტო კონკურსს სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდასაჭერად. ამ ინიციატივის მიზანია, ფერმერებს, სოფლის შინამეურნეობებს, კოოპერატივებს, მცირე და საშუალო მენარმეებს გაუუმჯობესდეთ წვდომა ფინანსებზე, სერვისებსა და სანარმოო ტექნიკურ აღჭურვილობაზე.

ეს პროექტი ემსახურება სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის უკეთესი საარსებო წყაროების შექმნას.

რას გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერა ENPARD III-ის ფარგლებში?-ამის შესახებ ორგანიზაციის წარმომადგენელი დადოფლისწყაროში გიორგი გონაშვილი გვესაუბრება.

-ეს პროექტი ემსახურება სოფლის მეურნეობის ყველა საშუალების დაფინანსებას, რაც მოიცავს როგორც ტექნიკურ აღჭურვილობას, ასევე მანქანა-დანადგარებს.

**ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?**

-ფერმერებს, კოოპერატივებს და საქართველოში რეგისტრირებულ მცირე და საშუალო მენარმეებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ახორციელებენ მუნიციპალიტეტში. ასევე, ფიზიკურ პირებს, ვინც სოფლის მეურნეობის სფეროში მოღვაწეობს. საგრანტო კონკურსის ფარგლებში მოთხოვნილი თანხა იწყება 1000 აშშ დოლარიდან. მაქსიმალური თანხაა 150 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. გრანტის გაცემისას პროგრამა უზრუნველყოფს 40%-იან დაფინანსებას. შესაბამისად, განმცხადებელს მოეთხოვება მთლიანი საინვესტიციო ღირებულების მინიმუმ 60%-ის დაფინანსება.

პროგრამით ასევე გათვალისწინებულია ისეთი სპეციფიკური ინვესტიციების მხარდაჭერა, რომლებსაც ექნებათ დადებითი ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, სოციალურ მდგომარეობასა და გარემოს დაცვაზე. ამ კონკრეტული ტიპის პროექტების დაფინანსება შესაძლოა გაიზარდოს 60%-მდე.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 30 ნოემბერი. თუმცა, ეს პროექტი სამხლიანია და ყოველ სამ თვეში ერთხელ გამოცხადდება საგრანტო კონკურსი. ასე რომ, დადოფლისწყაროელებს ექნებათ შანსი, ევროკავშირის დაფინანსებით, გააძლიერონ საკუთარი მეურნეობა.

დანვრთლებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: [www.Faogrants.ge](http://www.Faogrants.ge).

საკონტაქტო ინფორმაცია:  
საგრანტო პროგრამის დაკავშირებული სრული ინფორმაცია მთელი ვებგვერდი:  
[www.fagrants.ge](http://www.fagrants.ge)

სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერა ENPARD III-ის ფარგლებში - საბრუნო კონკურსი



**14 ნოემბერს პარლამენტმა პროპორციულ სისტემაზე გადასვლას მხარი არ დაუჭირა, რასაც პარლამენტს გარეთ პროტესტი, შენობაში კი ხმაური მოჰყვა. თამარ ჩუგოშვილმა ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა, ასევე საპარლამენტო უმრავლესობა რამდენიმე დეპუტატთან ერთად ხულორდავასთან, სოფო ქაცარავასთან, გიორგი მოსიძესთან, ირინა ფრუიძესთან, დიმიტრი ცვიტიშვილთან და ზაზა ხუციშვილთან ერთად დატოვა. მოგვიანებით მმართველი გუნდი რუსთავის მაჟორიტარმა გიორგი ბეგაძემ, მარიამ ჯამბა და ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ სამმა წევრმა, ზვიად ძიძიგურმა, გიგა ბუკიამ და ნინო გოგუაძემ დატოვეს.**

**საპარლამენტო უმრავლესობა განმარტავს, რა სისტემით ჩატარდება 2020 წლის არჩევნები. განცხადება გაავრცელა მმართველი პარტიის ლიდერმაც. ოპოზიციური პარტიები მხარდამჭერებს პარლამენტთან აქციაზე მისვლისკენ მოუწოდებენ.**

# უმრავლესობის გადაწყვეტილება და პროტესტი ქუჩაში

„პრაქტიკულად შედეგა შეთანხმება და წერილობითაც ალბათ, ეს შედეგია, რომ შექმნილ ვითარებაში, როდესაც ხელისუფლებამ და კონსტიტუციულმა პირებმა მიმართა თაღლითობას, მიგვაჩინა, რომ კონსტიტუციური-სამართლებრივი თვალსაზრისით ყველაზე სწორი გამოსავალი იქნება ე.წ. გერმანული მოდელი, რომელიც არ მოითხოვს კონსტიტუციურ ცვლილებას და რომლისთვისაც საკმარისი იქნება 30 დეპუტატი საპარლამენტო უმრავლესობიდან. ეს ივანიშვილს გამომავლის თავის უკანასკნელ არგუმენტს, რომელსაც ჩვენს საზოგადოებაში ისედაც არ არის ლეგიტიმური. „თავისუფალი საქართველო“ დაინტერესებული ვართ იმით, რომ არა რევოლუციური, არამედ კონსტიტუციური სტენარით განვითარდეს გზა. ვაძლევთ ივანიშვილის რეჟიმს უკანასკნელ შანსს! თუ კიდევ არ გამოჩნდა 30 სუენდაძე, ის უმრავლესობა, რაც ივანიშვილს დარჩა, არის საკმარისი იმისთვის, რომ გერმანული მოდელი უახლოეს ორ კვირაში დამტკიცდეს და არჩევნები ჩატარდეს გერმანული მოდელით. ამანზე სრული კონსენსუსია. გერმანული სისტემა ეს არის პროპორციული სისტემის ერთ-ერთი ნაირსახეობა, ოღონდ ის არ მოითხოვს კონსტიტუციური ცვლილებას. არჩევნები უნდა ჩატარდეს პროპორციული სისტემით და ქართველმა ხალხმა და არა დიმიტრი ხუნდაძემ უნდა გადაწყვიტოს ვინ იქნება ამ ქვეყნის მომავალი მთავრობა.“

ამასთან, კუკავას განცხადებით, ოპოზიცია არავითარი კოალიციის შექმნას არ აპირებს.

„ოცნების“ ტროლლების საპასუხოდ და გასაგონად მინდა ვთქვა, რომ არავითარი კოალიცია აქ არ იქნება. არც ჩვენ და არც სხვა არც „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და არც რომელიმე სხვა პარტიასთან გაერთიანებაში შესვლას არ აპირებს. ჩვენი ამოცანაა, რომ არჩევნები ჩატარდეს პროპორციული სისტემით, ის, რაც მოგვაცხდია და გადაავლი მთელი საზოგადოება ივანიშვილმა. ამ მიზნით ვცვლით ინფორმაციას სხვა პოლიტიკურ ძალებთან. ამის ნარმოჩენა რაიმე სხვა ფორმით არის ტყუილი და ეს მინდა იცოდეს ჩვენმა საზოგადოებამ“, - განაცხადა კუკავამ.

ასევე, „ახალი საქართველოს“ ლიდერის გიორგი ვაშაძის თქმით, მთავრობა უნდა გადადგეს, ცესკო უნდა შეიცვალოს და ვადამდე არჩევნები უნდა იყოს სწორედ გერმანული მოდელით. მისი თქმით, „ოპოზიცია ერთიანია ისე, როგორც არასდროს“.

„გერმანული მოდელი არის პროპორციული-მაჟორიტარული მოდელის ნაირსახეობა, რომელიც მისაღებად ანუ კონკრეტული გზა არსებობს. მთავრობა უნდა გადადგეს, ცესკო უნდა შეიცვალოს და ვადამდე არჩევნები უნდა იყოს სწორედ გერმანული მოდელით. მექანიზმი ნაშრობია და ყველაფერი უნდა მივიყვანოთ გამარჯვებამდე. ძალიან დიდი დისკომფორტი ექნება „ქართულ ოცნებას“, ეს არის ადვოკატური დიპლომატიური კორპუსი, ეს არის ადვოკატური ქართველი ხალხი და უზარმაზარი პრობლემები, რომელსაც ჩვენ მათ შევუქმნით. ამ გამარჯვებას მათ არ დაუთმობთ“, - განაცხადა ვაშაძემ.

15 ნოემბერს შეხვედრა გაიმართა უმრავლესობის წევრებს შორისაც. საზოგადოებას მოლოდინი ჰქონდა, რომ სახელისუფლებო პარტია არჩევნებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას შეცვლიდა. მათი მოლოდინი არ გამართლდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარია განცხადებით, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ოფისში გამართული შეხვედრის განსახილველი თემა მხოლოდ ქვეყნის 2020 წლის ბიუჯეტი იყო.

როგორც გიორგი გახარია შეხვედრის დასრულების შემდეგ უზრუნველყოფის განუცხადა, ბიუჯეტთან დაკავშირებით ძირითადი შეკითხვები მაჟორიტარ დეპუტატებს ჰქონდათ.

„როგორც მოგახსენებთ 2020 წლის ბიუჯეტი გავიდა მეორე მოსმენით. რაც არ უნდა ხდებოდეს ჩვენი ცხოვრების პოლიტიკური პროცესის განმავლობაში, ბიუჯეტი არის ქვეყნის მთავარი დოკუმენტი, რომელიც ეხება ყველას და ყველაფერს, ამიტომ ჩვენ დღეს ვისაუბრეთ 2020-ის ბიუჯეტზე. იყო შეკითხვები, ძირითადად ეს შეკითხვები ჰქონდათ მაჟორიტარებს, აუხსენით ბიუჯეტის შინაარსი, მისი სტრუქტურის შესახებ არს და მიზეზი.“

ვიმსჯელებო მხოლოდ ბიუჯეტზე რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი - ეს არის მთავარი დოკუმენტი, გარდა ამისა, ამ ქვეყანაში განმარტების თავისუფლება აქვს ყველას და შესაბამისად, რაც არ უნდა ხდებოდეს, სახელმწიფო, პოლიცია დიკავს როგორც გამომარტვის თავისუფლებას, ასევე იმსჯელებს ბიუჯეტზე“, - განაცხადა გახარია.

# ბიძინა ივანიშვილი: პარლამენტის გადაწყვეტილებით იმედგაცრუებული ვარ



**პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი განცხადებას ავრცელებს.**

„დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა, დემოკრატიული განვითარების გზაზე, მორიგ მნიშვნელოვან ეტაპს გადაის, როგორც მმართველი პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარეს, აუცილებლად მიმაჩნია, გამოვიხმაურო იმ პროცესებს, რაც ამ დღეებში პარლამენტში ვითარდება.“

იმედგაცრუებული ვარ, რომ საბოლოო ჯამში, ვერ მოხერხდა ხორცი შესხმოდა ჩვენს ინიციატივას, პროპორციული წესით, ხულოვანი საარჩევნო ბარიერის პირობებში ჩაგვეტარებინა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები - სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა ეს ინიციატივა, „ქართული ოცნების“ დეპუტატების ერთი ნაწილის, ძირითადად მაჟორიტარების, წინააღმდეგობის გამო ჩააგდო.“

საზოგადოებაში ისმის კითხვა: როგორ განვითარდა ასე უეცრად ე.წ. „მაჟორიტარული ამბოხი“ მმართველ გუნდში, როცა რამდენიმე თვით განსხვავებული პროცესი ნარმატივით დასრულდა და საქმე კენჭისყრაზე მიდგა?

ამ კითხვაზე სრულფასოვანი პასუხის გასაცემად და საპეკულაციების თავიდან ასაცილებლად, თავს ვალდებულად ვთვლი, რამდენიმე უდავო ფაქტს შევასხნო საზოგადოებას.

კერძოდ: პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა გუნდმა, საკუთარი ინიციატივით, ვერ კიდევ 2017 წელს, იმ საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში მიიღო, რომელიც ოპოზიციური სპექტრის, არასამთავრობო სექტორის ნაწილისა და პარტიული მედიის მხრიდან ორგანიზებული, კამპანიური ხასიათის, აგრესიული ბოიკოტის ფონზე მიმდინარეობდა, რის გამოც, შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში, მხოლოდ მმართველი პარტიის საპარლამენტო უმრავლესობის ხმების ხარჯზე განხორციელდა.

ნაციონალურმა მოძრაობამ მაშინ ბოიკოტი გამოუცხადა პროცესს, რომლის შედეგადაც ჩვენ ერთ ლიდერზე და ერთ პოლიტიკურ ძალაზე ორიენტირებული კონსტიტუციის ნაცვლად, შემართვად ვეროპული კონსტიტუცია მივიღეთ, რომელიც მთელსა საერთაშორისო საზოგადოებამ ცალსახად პოზიტიურად შეაფასა.

არაპროპორციული არ არის, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის იდეა მაჟორიტარ დეპუტატებში არასდროს სარგებლობდა დიდი პოპულარობით და ამით იღივ ნაწილი არც ახლანდელს ამ რეფორმას სათანადო ენთუზიაზმით, რის გამოც, ჩვენს სურვილზე, უკვე 2020 წლიდან გაგვეტარებინა შენაშენი საარჩევნო სისტემა, შედეგად, მიღებული იქნა კომპრომისული გადაწყვეტილება, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე 2024 წელს გადასვლის თანახმად.

ნარმოიდგინეთ, იმ დროს რომ საპარლამენტო ოპოზიციას მინიმალური პოლიტიკური სიმნიშვნე და სახელმწიფოებრივი აზროვნება გამოეფინა, ყველაფრის ხარჯზე ხელისუფლების დაზიანების ვინობარტიული დღის წესრიგი არ ეხელმძღვანელა და საკონსტიტუციო რეფორმისათვის მხარდაჭერის მზაობა ჰქონდა, დღევანდელი დისკუსიას და ვნებათათვლავს საერთოდ არ ექნებოდა ადგილი - ჩვენს მაჟორიტარებსაც დავარწმუნებდით საარჩევნო რეფორმის გადავადების იდეის უპერსპექტივობაში და კონსტიტუციაც (ცალსახად ავსახავდით 2020 წლიდან პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილებას).

ეს მნიშვნელოვანი გარემოება არაპროპორციული სისტემაზე არ უნდა გამოგვჩვენოს მთავარი მიზეზი, თუ ოპოზიციის სურათის დაზიანება გვსურს და საერთო კონტრასტის გაუმჯობესებლად, ფრაგმენტულად არ ვაფასებთ მოვლენებს, მითუმეტეს, ამოცანის ფონზე.

იმუშავებდა ახლა, მიმდინარე წლის ზაფხულში განვითარებულ მოვლენებს, საზოგადოების ნაწილის სამართლიან პროტესტს მმართველი გუნდის სრულიად ადამიკანური რაბაძის მოქმედება - პარლამენტის თავმჯდომარე პილო პოლიტიკური პასუხისმგებლობა და გადადგმა, „ქართული ოცნება“ კი საზოგადოებას მნიშვნელოვანი ინიციატივით მიხარტა - 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული სისტემით, ნულოვანი სა-

არჩევნო ბარიერის პირობებში ჩაბატარება.

არ დავმალავ, ამ ინიციატივის ავტორი პირადად მე ვიყავი და გუნდმაც, მთლიანობაში, მაჟორიტართა ნაწილის ყოყმანის მოუხედავად, მხარი დაუჭირა ამ იდეას და მაჟორიტარებიც, ერთობლივად გამოვიხატეთ გარდა, დაექვემდებარენ პარტიულ დისციპლინას.

მოუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წელს შექმნა პრეცედენტი და სწორედ შერეული სისტემის პირობებში დაამარცხა ის პოლიტიკური რეჟიმი, რომლის მმართველობის პერიოდში პარტიული იყო ზღვარი სახელმწიფოსა და პარტიას შორის, ორგანიზაციულად სუსტი და მცირერიცხოვანი პარტიები მაინც მიჩნდათ, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში ექნებოდათ ნარმატივის მეტის შანსი. სწორედ ამიტომ გამოვედით ჩვენ ამ ინიციატივით. ნულოვანი ბარიერის შეთავაზებით კი, ჩვენ ვეცადეთ კიდევ უფრო გავზრდილიყო მცირე პარტიების შესაძლებლობები.

მე დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოებამ შესაბამისად შეაფასა კიდევ ჩვენი კეთილი ნება, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, უარი გვეთქვა მნიშვნელოვან სასტარტო უპირატესობაზე, რომელიც „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდს და მის მაჟორიტარ კანდიდატებს უკლებლივ ყველა ოპოზიციური პარტიის კანდიდატებთან შედარებით აქვთ.

უმთავრესი, რაც ჩვენს შეთავაზებას უნდა მოჰყულოდა, იყო ის, რომ ჩვენი ქვეყნის, ხელისუფლებისა და ოპოზიციური სპექტრის, ხელისუფლებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის ურთიერთობა პოლიტიკური კულტურის თვისობრივად ახალ საფეხურზე გადასულიყო, ხოლო საკუთრივ პოლიტიკური პროცესს, დემოკრატიული განვითარების ახალი ეტაპის დამკვიდრებისთვის შეეწყო ხელი.

ვიმედოვნებდით, რომ ჩვენი თამამი პოლიტიკურ აქტი, პროცესში ჩართული სხვა აქტორებისგანაც პოზიტიურად იქნებოდა აღქმული და პასუხად მათ კონსტრუქციულ რეაქციას მივიღებდით.

სამწუხაროდ ეს არ მოხდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ და მისი საბაზისური განცხადებებიდან თუ მთავარი მიზეზი, საზოგადოებად ნათლად დაინახა, რომ „ქართული ოცნება“ მცდელობა - თვისობრივად ახალ საფეხურზე აგვეყვანა ქვეყნის პოლიტიკური კულტურა, აგრესიული რიტორიკა, ცინიზმი, ქილიკი და პირადი შეურაცხყოფა - აი, რით უპასუხა ჩვენს ინიციატივას უპასუხისმგებლო ოპოზიციამ და მისმა სატელიტმა ორგანიზაციებმა. საქმე იქამდე მივიდა, რომ რეგიონებში, საკონსტიტუციო ცვლილებების საერთო-სახალხო

განხილვების ჩამლის მიზნით პირდაპირ დარბაზებში უფარდებოდნენ ჩვენს დეპუტატებს ამ ოპოზიციისგან პირდაპირ თუ ირიბად მართული აგრესიული ჯგუფები და საჯაროდ ლანძღავდნენ მათ.

ამ მოვლენების გამო უკმაყოფილება მმართველ გუნდში დღეს და გუძინ არ დანყებულა. მოუხედავად იმისა, რომ მძაფრი შიდაპარტიული დისკუსია და უთანხმოება გარეთ არ გამოგვეჩინა, მე და სხვა ლიდერებიც, უნდა დავიხსენებავს ესაზოგადოებრივ, რომ პროცესი ჩიხში არ შესულიყო.

იმუშავებდა ამისა, ოპოზიციისა ყველაფერი გაააჟი, რომ ის გვიყვარს ოცნებას, რაც ზაფხულში ჩვენს გუნდში მოხდა, დარღვეულიყო. როდესაც სსსიპი ინიციატივის განხილვა პრაქტიკულად დასრულდა და საბოლოო კონსენსუსი დაგვიტოვა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა ჩვენს დეპუტატებს, პირდაპირ პარლამენტის დარბაზში, უმძიმესი პერსონალური შურაუტყუარები მიუყენეს. რომლებიც ჩვენს, ახან მაჟორიტარების დიდი ნაწილის ოპოზიციის წევრებს ავსო და აიცი, სამწუხაროდ, ვიღარ მოვახერხე ომსტრუქციულ კულში მათი დაბრუნება.

ჩვენს ქვეყანაში სეკუპტიკოსებს რა დალევის, მაგრამ ფაქტებს ვერავინ გაექცევა და ისიც ფაქტია, რომ ჩვენს გუნდში არა ფასალური, არამედ რეალური დემოკრატია, რაც ადამიანისთვის საკუთარი პრინციპული პოზიციის ძალით შეცვლის მცდელობას გამოორცილება. ჩვენ წარსულს ჩავგდებთ როგორც საბჭოური, ისე ნაციონალური მოძრაობის მონოლითური, ადმინისტრაციული-მმართველური მართვის სტილი, როცა ერთპიროვნული ლიდერის წინააღმდეგ ვერავინ მიდგოდა. ჩვენს გუნდში აზრთა სხვადასხვაობა და დისკუსია, ბუნებრივი პროცესია და ამის არავითი მაგალითი უნახავს ჩვენს საზოგადოებას.

დაპროცეს - უნაყოფი საარჩევნო სისტემაში არ არსებობს. საპროპორციული სისტემა, რომ ცინიზმსა და საზოგადოებაში არ წყდება დისკუსიები ანა თუ იმ სისტემის ავტორიტარობაზე. პანაცეა არა საარჩევნო სისტემა, არამედ დემოკრატია, ანუ ინსტიტუციონალურად გამართული პოლიტიკური სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მთავარი - ხელისუფლების წარმომადგენლებს და მისი ნება დაუზრკოვლად უნდა აისახოს არჩევნების შედეგებში.

მე, როგორც მმართველი პოლიტიკური ძალის ლიდერი, კიდევ ერთხელ ვადასტურებ რა, რომ ვიყავი და ვრჩები 2020 წელსვე პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის მომხრე და გულწრფელად ვხუხვარ, რომ ეს ვერ მოხერხდა, - ჩემს გუნდთან და ხელისუფლებასთან ერთად ვიქნები გარანტი, რომ საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესი გახდება შეუქცევადი. 2020 წლის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ამის წინაპირობა და თვალსაჩინო მაგალითი იქნება“, - აცხადებს ბიძინა ივანიშვილი

# მიწის რეგისტრაციის საკითხები გააცნეს

კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის, ირაკლი ქადაგიშვილის ინიციატივით, კახეთის რეგიონში საინფორმაციო შეხვედრები მიმდინარეობს. შეხვედრების ფარგლებში კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე პლატონ კალმახელიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერ-

თობის სამსახურის უფროსი ბენო გეგეჭკორი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მინის რეგისტრაციის საკანონმდებლო ცვლილებებს აცნობენ, რომლის შედეგადაც მოსახლეობა მიწას ბარიერების გარეშე დაირეგისტრირებს. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მორიგი

შეხვედრა დედოფლისწყაროში გამართეს. საინფორმაციო შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები დაესწრნენ. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა

სამიზნე უდიტორისთვის, მინის რეგისტრაციის პროცედურების გამარტივების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერის ინიციატივით, პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა და 1 აგვისტოდან სრულად ამოქმედდება კანონპროექტი, რომელიც მინის რეგისტრაციას ამარტივებს და მოქალაქეთათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის. კანონპროექტების ავტორია იუსტიციის სამინისტრო. ცვლილებების მიზანი იმ სირთულეების აღმოფხვრაა, რომელთაც მინის ნაკვეთების მფლობელები ქონების რეგისტრაციის პროცესში აწყდებიან. კანონპროექტის თანახმად, მინის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა მარტივდება; იხსნება ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდება. ახალი ინიციატივები უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებასა და მესაკუთრის უფლებების დაცვაზე იქნება ორიენტირებული.



## სიკვდილით დასჯადი სისოსხლა, როგორც ბრძელდება

გენიალური მხატვრის ნიკო ფიროსმანის მშობლიურმა სოფელმა წელსაც უმასპინძლა სტუმრებს. 10 ნოემბერს, მირზაანში, მხატვრის სახლ-მუზეუმის ეზოში კულტურული ღონისძიებები დილიდან დაიწყო და მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ხალხური რენვის ნიმუშებისა და ნახატების გამოფენა, ასევე, დღეობაზე მისულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ტრადიციული ქიზიყური სამზარეულო და ღვინო.

დედოფლისწყაროელებს და მუნიციპალიტეტის სტუმრებს დიდი მხატვრისადმი მიძღვნილი დღე კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა ირაკლი ქადაგიშვილმა, დედოფლისწყარო-სიღნაღის მაჟორიტარმა ირაკლი შიოლაშვილმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მიულოცეს.

„ფიროსმანობის“ ბოლო აკორდი იყო იმ ადამიანების დაჯილდოება, რომელთაც თავიანთი საქმიანობით განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ნიკალას პოპულარიზაციის საქმეში. სამახსოვრო სიგელები გადაეცათ: ჯონი ახობაძეს, ეველინა კარსელსა და ნანა მანაგაძეს, ფიროსმანის ორიგინალების რესტავრაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის; იაპონელ მხატვარს ტაკეჰიდე ჰარადას, რომელმაც ფიროსმანისა და საერთოდ, ქართული ფილმების პოპულარიზაციას დიდი ძალისხმევა შეაღია. მასთან ერთად იმყოფებოდა იაპონელი ქართველოლოგი იასუჰირო კოჯიმა რომელმაც იაპონურ ენაზე თარგმანა ვაჟა-ფშაველა და ნოდარ დუმბაძე. თარგმანების საკუთარი ნახატებით გაფორმება კი ჰარადამ იტვირთა. როგორც ტაკეჰიდე ჰარადამ აღნიშნა, ფიროსმან-

მა საერთოდ შეცვალა მისი ცხოვრება, ამიტომაც იყო, რომ პირველი ქართული ფილმი, რომელიც მან იაპონიაში გაიტანა, იყო ფილმი ფიროსმანზე.

სიგელებით დაჯილდოვდნენ ასევე ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნიკოლოზ ანთიძე, ფიროსმანის მუზეუმის ყოფილი ხელმძღვანელი ანზორ მაძღარაშვილი, თემურ ნიკლაური, რომელმაც ფიროსმანის როლი შეასრულა.

ღირსეული ჯილდო გადაეცა ახალგაზრდა მხატვარს ბელა ლობჯანიძეს, რომელიც ნიკალას მშობლიური სოფლიდანაა და რომელმაც გახსნა სამხატვრო სწრაფი, სადაც პატარებს ხატვას ასწავლის. „ფიროსმანობაზე“ წარმოდგენილი იყო მისი აღსაზრდელების ნახატების გამოფენა. როგორც თავად ბელამ აღნიშნა, ნორჩი მხატვრების ინსპირაციის წყარო ფიროსმანი იყო. „სულ ოთხი თვეა, რაც ბავშვები ხატავენ და მათ პირველ ნამუშევრებს ყველა გაეცნობა. ამჟამად ჩემს სწრაფში 12 მოსწავლე ირიცხება. თუმცა, ვიცი, რომ ბევრს აქვს სურვილი, შეისწავლოს ხატვა არა მარტო მირზაანში, არამედ მეზობელ სოფლებშიც - ზემო მაჩხაანსა და არბოშიკშიც“. ბავშვთა კონტიგენტის გაზრდას ის სამხატვრო სკოლის გახ

ნის შემდეგ გეგმავს. როგორც ბელა ამბობს, იდეა სულ მოკლე ხანში განხორციელდება.

გვიანი შემოდგომის მიუხედავად, ფიროსმანი თავისი კარმიდამოს სტუმრებს ქართული სტუმართმოყვარეობითა და მზიანი განწყობით ხვდებოდა. სახალხო დღესასწაულზე მოსულებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ნიკალა, დაათვალიერეს მისი ნამუშევრები, კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ გენიოსის ბედზე, მის დაკარგულ საფლავზე და სიკვდილის შემდეგ დაწყებულ სიცოცხლეზე...

ინგა შიოლაშვილი





# ყველა ერთად „ცოდნის სახლის“ და ალმანახ „ხორნაბუჯის“ ბენეფისზე...

12 ნოემბერს სოფელ არხილოსკა-ლოში ოფიციალურად გაიხსნა ერაკლე ჭინჭარაულის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კავშირის „ცოდნის სახლი“, სადაც მოხდა ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ მე-7 ნომრის წარდგენა (დროისათვის ამ ალმანახს 2020 წელს დაარსებიდან 5 წელი უსრულდება). შეხვედრას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მხარეთა ასოციაცია „ფიროს-მანის“ და საქარტველოს მხარეთა შემოქმედებითი კავშირის წევრები, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ღირებულო ილია მარტყოფლიშვილი, ასევე ახალგაზრდობისა და სპორტის ცენტრის ღირებულო აბაჰი ნატროშვილი, საღამო, ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ რედაქტორის, გიორგი ნატროშვილის დახმარებით მიჰყავდა ახალგაზრდა შემოქმედს - მარიამ ტოხიშვილს. „ცოდნის სახლის“ გახსნამ სრული ანგარიშით ჩაიარა, რადგან მთლიანად შემოქმედი საზოგადოება იყო წარმოდგენილი. იგი სოფლის მოძღვრის მამა ზაქარიას კურთხევით გაიხსნა.

საღამოზე ყველა სტუმარი თუ ადგილობრივი მცხოვრები ერთხმად აღნიშნა, რომ ასეთი შეხვედრა არ ახსოვთ, ბოლოს როდის გაიმართა აქ და სურვილს გამოთქვამდნენ, მსგავსი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები გარკვეული პერიოდულად მიიხდეს ჩატარდეს მომავალშიც და არა მარტო ამ სოფელში.

პოეტებიდან სიტყვა პირველად

ნიკლაურმა, შმაგი ჭინჭარაულმა, გელა ბეჟაურმა, მარიამ ტოხიშვილმა. ნაიკითხეს ომა ნიკლაურის ლექსებიც.

სოფელ ქვემო ქედის კულტურის სახლთან არსებული ანსამბლები: „მთის შვილი“, „მზის სახლი“, „თაობა“ (თამარ კობაიძის ხელმძღვანელობით) კიდევ უფრო ალამაზებდნენ და შესაფერის ხიზლს ფენდენ საღამოს მსვლელობას სოფელ სამრეკლოს კულტურის სახლთან არსებული ტრიო „სამრეკლოსთან“ ერთად (ხელმძღვანელი გაიოზ ხუციშვილი). ამ შეხვედრისთვის მნიშვნელოვანია ასოციაციის თანათავმჯდომარის ნანა ჭიჭინაძის მიერ თბილისიდან სპეციალურად მოწვეული იყო შესანიშნავი მევიოლინე ელენე მეგრელიშვილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი ილია მარტყოფლიშვილი სიტყვით გამოვიდა და საზოგადოებას ესაუბრა როგორც „ცოდნის სახლის“ მნიშვნელობაზე და დადებით ასპექტებზე, ასევე ბეჭდურ ჟურნალ „ხორნაბუჯის“ გაამახვილა ყურადღება და ზოგადად ბეჭდური მედიის როლს მიანიჭა უპირატესობა. ახალგაზრდობისა და სპორტის ცენტრის დირექტორმა აკაკი ნატროშვილმა დაწვრილებით გაიხსენა, როგორ ჩაეყარა ამ ჟურნალს საძირკველი, რამდენი ენერჯია ჩადეს, რომ ეს სასიკეთო საქმე ადგილიდან დაძრულიყო. მან დიდი ყურადღება გაამახვილა „ცოდნის სახლზე“ და სამომავლოდ სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრთან უამრავი კავშირი დაინახა.

დასასრულს სამადლობელი სიტყვა

ტორი გახლდათ ქალბატონი მარინას შვილი-ნანუკა ჭინჭარაული, მაგრამ ყველაზე საოცარი მოსასმენი ის იყო, რომ გოგონა პირდაპირ მანხაიდან დაბრუნდა არხილოსკალოში და აქვე აპირებს ცხოვრების გაგრძელებას, აქ აქვს დასახული გეგმები. თუ როგორ, ამას ნანუკას უფრო ახლოდან გაცნობით შევიტყობთ:

ბზა შანხაიდან-არხილოსკალომდე...

ოცი წლის ნავედი ჩინეთში, 2012 წელი იყო. საქართველოში დარჩენა ალუდას გარდაცვალების მერე რთული იყო. ჩინეთში რამდენიმე თვიანი მოგზაურობის შემდეგ გადავწყვიტე, დავერჩენილიყავი და ჩინური ენი შესწავლა დამეწყო, ძალიან მალე ავითვისე და ჩინეთის სახელმწიფო დაფინანსებაც მოვიპოვე. სტუდენტობის პერიოდში ვმუშაობდი, როგორც ინგლისური ენის მასწავლებელი, რითაც უნივერსიტეტის და საცხოვრებელ ხარჯებს ვფარავდი. შემდეგ ჩემი ძმის ამბებიც მოხდა და აღარც ვფიქრობდი ჩინეთში დაბრუნებას, მაგრამ აქ ყოფნა უფრო და უფრო გაუსაძლისი ხდებოდა და მეც გადავწყვიტე, რომ ჩინეთში დავბრუნებულიყავი და სწავლა გამეგრძელებინა. რამოდენიმე წელში მივიღე სამსახურის შემოთავაზება ამერიკული კომპანიიდან „ჰარი დევიდსონიდან“, რაზეც უარი ვერ ვთქვი და დავენიყე მუშაობა.

რამოდენიმე თვის წინ, მაისის ბოლოს მომივიდა ავარია, რომელსაც ძლიერს გადავურჩი და რამაც დამაფიქრა საქართველოში დაბრუნებაზე. როგორც კი გამოვჯანმრთელდი, მაშინვე საქართველოში წამოვედი და დავენიყე მოგზაურობა, საქართველოს კუთხე არ დავტოვე, რომ არ ჩავსულიყავი ამ ზაფხულს, ამდენი წლის მონატრების შემდეგ, მთას და საქართველოს მონყურებულმა გადავწყვიტე, საქართველოში ბოლომდე დავმტკბარიყავი. ერთი თვე მეორეს მიჰყავდა და მივხვდი, რომ აღარ მინდოდა ჩინეთში დაბრუნება და სხვა ქვეყნის სამსახურში ყოფნა, რადგან ჩემ ქვეყანას და ოჯახს უფრო ჭირდება გვერდში დგომა. ამ წლების განმავლობაში ისედაც ვფიქრობდი, რომ არაფერს მნიშვნელოვანს არ ვაკეთებდი, მქონდა კარგი სამსახური, ვცხოვრობდი ნორმალურად, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს არ იყო ის, რისთვისაც მე ამ ქვეყნად მოვევლინე. ყოველთვის მინდოდა ბავშობიდან დიდი და მნიშვნელოვანი საქმეები მეკეთებინა, ყოველთვის ამბიციური ვიყავი.

არხილოში დედას ყოველ კვირას ვსტუმრობდი და ვხედავდი, ის რამდენ რამეს აკეთებდა ხალხისთვის. ცდილობდა ყველას დახმარებოდა და გვერდში დადგომოდა და ეს მას აძლიერებდა. თქვენ უკვე იცით დედაჩემის ისტორია, მან ძალიან ბევრი გადაიტანა და ყველაფრის მიუხედავად, მაინც იპოვა ძალა ამ ყველაფრისთვის. ეს თვისებები მასში ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევდა ჩემში ბავშობიდან.



სამი თვე დავრჩი საქართველოში და დედას შემყურემ, გადავწყვიტე აქ დარჩენა და დედას გვერდით ყოფნა. ნელ-ნელა ჩვენი სოფლის პრობლემებში ჩავერთე, რადგან დედიკოს დილა ამ პრობლემებით იწყება და ძალიან მომინდა, დავხმარებოდი მას ამ პრობლემების მოგვარებაში. ძალიან მინდა ჩემი ჩინეთის 7 წლიანი გამოცდილება გამოვიყენო და ბევრი საინტერესო პროექტი განვხორციელო. აქტიურად ვარ უკვე ამ ახალ პროექტში ჩართული, ჩემი აზრით, „ცოდნის სახლი“ არის სივრცე, სადაც შესაძლებელია კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების გამართვა, როგორც ახალგაზრდების, ისე ბავშვებისთვის, ხანდაზმულებისთვის და ზრდასრულებისთვის. თავისი საქმიანობით „ცოდნის სახლი“ ხელს უწყობს ახალგაზრდებისა და ხანდაზმულების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდას.

იგი აერთიანებს შემდეგ სივრცეებს - კაფეს, არაფორმალური განათლების ცენტრს, მულტიმედია ბიბლიოთეკას. ქედების ზონაში ერთ-ერთ ყველაზე დიდი სამუშაო სივრცეა დღესდღეობით, ვფიქრობ, ძალიან დადებითად წაადგება ამ ზონას კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის არსებობა, სადაც მომხმარებელს ყველაფერთან ერთად შესაძლებლობა ექნება დააგეგმოს თანამედროვე და ტრადიციული კერძები. -გვიამბობს ნანუკა, უჩვეულოდ ენერგიული, ხალისიანი და მოტივირებული ახალგაზრდა, რომელსაც შეგიძლია ნებისმიერი კარგი საქმე მიანდო და ენდო, რომ ბოლომდე გააკეთებს...

დასასრულს, გვინდა წარგთავაზოთ ვუსურვოთ ძალბატონ მარინა ნიკლაურს და ნანუკა ჭინჭარაულს ახლად-წამოწყობულ სოციალურ-ინტელექტუალურ საქმიანობაში და გიორგი ნატროშვილს ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“, ამ კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალის, რაიონის მატინის უამრავ გამომცემში.

მომზადდა ელზა ხარაშვილმა



მონვეულ სტუმარს, 9 წიგნის ავტორს და შესანიშნავ პოეტს, ქეთევან დოლიძეს გადაეცა, რომელიც ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ ერთ-ერთი ავტორიცაა. ქეთევანი მიესალმა შეკრებილ საზოგადოებას, მიულოცა შეხვედრის მიზეზი და დასასრულს ახალი ლექსებიც წაიკითხა. მუსიკალური ნომრები და პოეზია ჰარმონიულად ენაცვლებოდა ერთმანეთს. მისასალმებელი სიტყვები დაგლექსები წარმოთქვეს: ლევან ალავერდაშვილმა, კაფიების ოსტატმა ეთერ ჩოხელმა, ზიზო ბურდულმა, თამაზ

წარმოთქვა არხილოსკალოს ლიტერატურული კაფეს სულისჩამდგმელმა, ერეკლე ჭინჭარაულის დედამ, ქალბატონმა ნელი (მარინე) ნიკლაურმა. მან „ხორნაბუჯის“ რედაქტორთან გიორგი ნატროშვილთან ერთად მადლობა გადაუხადა ქვემო ქედისა და არხილოსკალოს გამგებლებს - იოსებ კობაიძესა და ავთანდილ ხუმარაშვილს გულუხვი მასპინძლობისთვის. ამ ულამაზეს შეხვედრას ახლდა საინტერესო და მნიშვნელოვანი ამბავი. საღამოს მსვლელობაში ყველაზე აქტიურად ჩართული და საღამოს ორგანიზა-





# სიკეთე, რომელიც სამყაროს ალამაზებს...

ალბათ ყველა დაფიქრებულა იმაზე, თუ რა არის ცხოვრების აზრი? იქნებ ცხოვრების აზრი სიკეთის კეთებაშია, ისეთი სიკეთის, რომელსაც არ ითხოვნიან, რომლის სამაგიეროსაც არ ითხოვენ. იმ სიკეთეში, რომელიც სამყაროს ალამაზებს და აძლიერებს?

სიკეთე არის გზა სრულყოფილებით. მისი საზღვარი არ აქვს, იგი ღვთისგან ნაპოვნი ნიჭია, რადგან ამკვიდრებს ჰედნიერებას, სიხარულს, ყოველივე კეთილი კი ნარამოქმდის ყოველგვარ ადამიანურს, რომელიც ძალიან გვჭირდება. სიკეთე ქმნის სიკეთეს და ხშირ შემთხვევაში ის გადადგამს.

8 ნოემბერს, დედოფლისწყაროს კულტურის სახლში კიდევ ერთი, ლამაზი საქველმოქმედო საღამო გაიმართა. წამყვანმა-ცარო მარტიასვილიმ მიზანმიმართულად საღამო შემდეგი სიტყვებით დაიწყო: „ღმერთო გვიმრავლე სათნოების დღე, გვიმრავლე მტერთან შერიგების დღე, საკუთარ თავთან შერკინების დღე,.... ღმერთო გვიმრავლე სათნოების დღე! ქორეოგრაფიული ანსამბლი „გიორგელები“ ტრადიციას არ ღალატობს და კიდევ ერთ სათნოების დღეზე მოგიწვივებ თქვენ და მჯერა, რომ ეს დღე ძალიან ლამაზი, მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი იქნება თითოეული თქვენთაგანისათვის. მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ანსამბლ „გიორგელებისთვის“ ხშირია საქველმოქმედო კონცერტებით გამოსვლა. ისინი ეხმარებოდნენ ყველას, ვისაც მათი დახმარება სჭირდებოდა, მაგრამ დღევანდელი დღე მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დღეს, დახმარება, გვერდში დგომა, მათ ახლობელს, ძალიან საყვარელ ადამიანებს სჭირდებათ.“

აქცია-კონცერტი ანსამბლმა „ხორნაბუჯმა“ გახსნა სიმღერით „მრავალუამიერი“. მას მოჰყვა ცეკვა მთიულური „გიორგელების“ შესრულებით, დარბაზის ოვაციები და აპლოდისმენტები, სახენათელი, მომღიმიარი გოგობიჭები და ცეკვაში ჩაქსოვილი დიდი სიტბო და სიყვარული.

„2019 წელი, 15 ივნისი. ამ სცენაზე დადგა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ და სცენა დატოვა როგორც ანსამბლმა „გიორგელები“. ეს სახელი ერთი ძალიან ნათელ, სუფთა სულის და ამალეული ბიჭის, ამ ანსამბლის უცვლელი სოლისტის, გიორგი კვინინაშვილის ხსოვნის პატივსაცემად ეწოდა. დღეს და ამის მერეც იგი ანსამბლი „გიორგელების“ სახელით გაარძელებს ცხოვრებას.“ - აღნიშნა საღამოს წამყვანმა ცარო მარტიასვილიმ და დარბაზმაც ბიორბი კვინინაშვილის ხსოვნას ნუთიერი დუმილით პატივი მიაგო.

ანსამბლი „გიორგელები“ იმი-

თაც არის ცნობილი, რომ მათ კონცერტზე არა ერთ ცნობილ სახეს და ყველასთვის საყვარელ მომღერალს მიუღია მონაწილეობა. ამ საღამოს სტუმარი მომღერალი მამუკა ონაშვილი გახლდათ, რომელმაც სცენაზე პატარა მაყურებლები იხმო და მათი ცეკვის ფონზე შეასრულა სიმღერები. მომღერალმა აღნიშნა, რომ „მოხარულია ამ ღამეზე ღონისძიებაში მონაწილეობის შესაძლებლობა რომ მიეცა და აქვს საშუალება პატარა წვლილი შეიტანოს ამ კეთილ საქმეში.“

„გიორგელების“ აჭარულის ცეკვა კვლავ ოვაციებით დასრულდა. ცარო მარტიასვილიმ მადლობა გადაუხადა ანსამბლის ხელმძღვანელს, ბატონ ხვიჩა ზუბიაშვილს.

„გულო, სანამ გული გქვია, გულო, უნდა მტკიოდე. გულო, უნდა მიერთ-გულო, მიმყვე საიქიმდე...და სანამ თითოეულ ჩვენთაგანს ერთმანეთის გაჭირვებაზე გული შეგვტკივამე მჯერა, რომ ქართველი ერთი არ გადამენდება.“

დარბაზში გია ყანჭელის უმშვენიერესი სიმღერა „ყვითელი ფოთლები“ აუღერდა მარიამ კვანჭილაშვილის შეასრულებით. ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ვარსკვლავებმა“ (ხელმძღვანელი ნონა ჯიბლაშვილი, ქორეოგრაფი ნათია ცინცაძე) ესპანური ცეცხლოვანი ცეკვით მოხიბლეს მაყურებელი. მათ მიერ იყო აგრეთვე შესრულებული ცეკვა „ვალსი“.

საქველმოქმედო საღამო გააგრძელა სამრეკლოს კულტურის სახლთან არსებულმა ვოკალურმა ტრიომ, გაიოზ ხუციშვილის, ნატო ჩიბუხაშვილისა და ნანა უძილაურის შემადგენლობით.

„გიორგელების“ მიერ შესრულებული იყო ცეკვები: დავლური, ნარნარი, დაისი,

ცეკვა „მოხეური“ პირველად 15 ივნისს შესრულდა გიორგი კვინინაშვილისადმი მიძღვნილ საღამოზე. ეს ღამეზე ცეკვა ანსამბლის წევრებმა გიორგის ხსოვნას მიუძღვნეს.

ანსამბლი „გიორგელები“ მუდმივად განახლების გზას ადგას. ისინი ცდილობენ ახალ-ახალი ვერსიები შესთავაზონ მაყურებელს და ერთ-ერთი ასეთი ვერსია ცეკვა „ახალი მთიულური“ა. ამ ცეკვის პრემიერის თარიღიც 15 ივნისია.

**„ამალეული განწყობაზე მინდა დავამთავროთ ეს საღამო და მჯერა, რომ რისთვისაც ეს ბავშვები, „გიორგელები“ და ამ სცენაზე დღეს მდგომი თითოეული მონაწილე გაისარჯა, კეთილად დასრულდება. კი არ მჯერა, ღრმად ვარ დარწმუნებული. სიკეთე ნუ მოგი-მალთ ღმერთმა თქვენ და თქვენს მშობლებს, ამ დარბაზში მყოფ თითოეულ თქვენთაგანს! მჯერა, სიკეთე გაიმარჯვებს და მჯერა, რომ „გიორგელების“ კეთილი საქმეები კვლავ გაგრძელდება“** - ასე დაასრულა ეს ღამეზე საქველ-



მოქმედო საღამო წამყვანმა ცარო მარტიასვილიმ.

ამ საღამოს შემდეგ კი, უფრო ადვილია იმისა დაჯერება, რომ ცხოვრების აზრი სწორედ სიკეთის კეთ-

ებაშია, ისეთი სიკეთის, რომელსაც არ ითხოვნიან, რომლის სამაგიეროსაც არ ითხოვენ. იმ სიკეთეში, რომელიც სამყაროს ალამაზებს და აძლიერებს.

სათუნა ბენაშვილი

## ქართველი ავტორი გერმანიის მწერალთა კავშირის იუბილეზე



„50 წელი და 50 ლიტერატურული მინიატურა“- ასე ჰქვია ლიტერატურულ მარათონს, რომელსაც კიოლნის კარლ რაენერის აკადემია უმასპინძლებს

ავტორები მონაწილეობენ.

15 ნოემბერს, ქართველი მწერალი და მთარგმნელი ირმა შიოლაშვილი, სექციამში „ჩვენ სამყაროში“, ექვს ლექსს წაიკი-

თხავს კრებულიდან „თავდაყირა“. მათ შორის, ლექსს, რომელიც 2008 წლის ომს ეძღვნება.

ამით ქართველი ავტორი კიდევ ერთხელ შეახსენებს უცხოურ აუდიტორიას, რომ საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ. 22 ნოემბერს ავტორი კრებულს „თავდაყირა“ ბონის მიგრაციის წიგნის ბაზრობაზე წარადგენს. 29 ნოემბერს ირმა შიოლაშვილის შემოქმედებითი საღამო შედგება ქალაქ მინდენში, სადაც 7 წლის წინ მან საკუთარი შემოქმედება რუსუდან ფეტვიასვილის ნამუშევრებთან ერთად გააცნო აუდიტორიას.

ირმა შიოლაშვილი 1999 წლიდან გერმანიაში, ქალაქ ბონში ცხოვრობს და ბონის რეგიონალურ-

რი რადიოს (Bonn/Rhein-Sieg) ეთერში ქართულ კულტურაზე უძღვება გადაცემებს.



# ინსომნია - რამდენად საშიშია ის?

“აგრესიული გავხდი. თითქოს აღარაფერი მინტერესებს, ნიჰილიზმი საოცრად ნაცნობი გახდა ჩემთვის. უმეტესად ნეგატიურად ვარ განწყობილი. ადრე რაც მატებდნენ, ის უკვე აღარ მინტერესებს. მაშინაც კი აღარ მეძინება, როცა სახლში ვარ და ვისვენებ. დილით ადრე ვიღვიძებ, ხომ შეიძლება, ღამე ადრე დავიძინო, მაგრამ არ გამოდის. დანობიდან 2 საათი მინც ვცდილობ დაძინებას. მეორე დღე დახლოებით სამი თვის წინ ისეთი პერიოდიც, რომ, რაც უნდა გვიან დამეძინა, თუნდაც გამთენიისას, დილით მინც ადრე მეღვიძებოდა. ვეღარ ვიძინებდი. გადავიწყვი. თითქოს ერთი კვირა ან რამდენიმე დღე უკეთესად ვარ, ორგანიზმი ოდნავ რომ მოციოცხლებდა და მოვასალდებ, მერე ისევ თავიდან მეწყება ყველაფერი. ბოლო კვირას, 9-10 საათი მინც ძინავს, მაგრამ მინც სულ დალილს მეღვიძება. სულ მეძინება, ძალი არ მაქვს. უნარო ვარ თითქოს. კოორდინაციაზეც ძალიან იმოქმედა. მესხიერებაზეც შემქმნა პრობლემები. სწორედ გაუახლებულაზე უკეთეს რაღაცას. უნივერსიტეტში გამოცდების პერიოდი როცა ახლოვდებოდა, მაშინ იწყებოდა უძილობა. შემდეგ ამას სამსახურის რეჟიმიც დაემატა. და ახლა ვამჩნევ, რომ უფრო გამოუარესად მდგომარეობა. დამამშვიდებელ ჩაის ვსვამდი, გამოცდების, სტრესისა და გადაღლილობის პერიოდში ძლიერ დამაძინებელ საშუალებებსაც ვიღებდი, მაგრამ დიდ შედეგს ვერ

ადრე ინსომნია 11 ქვესახეობად იყო დაყოფილი, თუმცა, ბოლო კლასიფიკაციის თანახმად ის ორ ძირითად სახეობად - მწვავე (გარდამავალი) და ქრონიკულ ინსომნიად დაიყო. ისინი ერთმანეთისგან მხოლოდ დროის ხანგრძლივობით განსხვავდებიან. მწვავე უძილობა ხანმოკლეა და ხშირად ცხოვრებისეული გარემოების გამო ხდება(მაგალითად, როდესაც გამოცდაზე წინა ღამით ვერ იძინებ, ან სტრესი გაქვს ან ცუდი ამბავი მიიღე). მწვავე უძილობა გრძელდება არაუმეტეს სამი თვისა, ხოლო ქრონიკული უძილობა არის დარღვეული ძილი, რომელიც კვირაში მინიმუმ სამ ღამეს გვხვდება და მინიმუმ სამი ან მეტი თვის განმავლობაში გრძელდება. უძილობის ქრონიკულ დარღვევებს მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. გარემოში ცვლილებები, არაჯანსაღი ძილის ჩვევები, ცვლის სამუშაოები, სხვა კლინიკური დარღვევები და გარკვეული მედიკამენტები, რომლებმაც შეიძლება გრძელვადიანი, არასაკმარისი ძილი გამოიწვიოს. თუმცა, ამ კლასიფიკაციის ხარვეზებიც აქვს. რაც, ძირითადად, გამოწვევი მიზეზების სიზუსტეში და მკურნალობის მეთოდის სწორად შერჩევამ გამოიხატება.



ერთვითან დაკავშირებული სტრესი. ასევე სტრესია სამსახურში გრძელვადიანი სამუშაოს შესრულება. არსებობს სტრესი, რომელიც დაკავშირებულია ნორმალური ცხოვრების პირობების შეცვლასთან. და, რა თქმა უნდა, ყველაზე მტკივნეული სტრესი საყვარელ ადამიანებთან არის დაკავშირებული. ოჯახური მდგომარეობის ცვლილება, ოჯახში ახლო წევრის ავადმყოფობა. დეპრესიული აშლილობა და ემოციური რეაქციები (როგორც პოზიტიური, ასევე უარყოფითი) ნერვულ დაძაბულობას იწვევს, რასაც ხშირად თან ახლავს ძილის დარღვევა.

ძირითადი მიზეზი ადამიანის ცხოვრებაზე ცივილიზაციის გავლენაც შეიძლება იყოს. ადრე, ადამიანი მზის ჩასვლასთან ერთად იძინებდა, ელექტროენერჯის და ნათურის გამოგონების შემდეგ კი საღამოს და ღამე მუშაობაც შესაძლებელი გახდა. ამრიგად, ბოლო 100 წლის განმავლობაში ძილის საშუალო ხანგრძლივობა 8 საათიდან 7 საათამდე შემცირდა. ეს ტენდენცია კი შეუქცევადია და უფრო და უფრო იკრფის ძალეს.

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიღებამ, როგორცაა, მაგალითად, ალკოჰოლი, სიგარეტი და მალაქოვიანი ნივთიერებები სასმელები შეიძლება გამოიწვიოს ძილის ფორმირების რღვევა და გაუხშირებელი ძილი.

**სომანტორ დაავადებები, როგორცაა წლის ტიკილი, მალაი ნევა, გულის იმ-მოური შეტევები, ჰეპატიტიზი, ასევე უარყოფითად მოქმედებს ძილის ხარისხზე და მის ხანგრძლივობაზე.**

ძილის დარღვევა ყველაზე ხშირად ცვლაში მომუშავე ადამიანების საშუალო გრაფიკითაა გამოწვეული და დამანგრეველი შედეგი მოაქვს ადამიანისთვის. რისკის ვეგეტში შედის ასევე არასაკმარისი, ან პირიქით, ზედმეტი განათების ქვეშ მომუშავე ადამიანებიც.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ ქალები უფრო მდრეკილნი არიან უძილობისკენ, ვიდრე მამაკაცები. ერთ დროს უძილობა აღწერილი იყო როგორც რკინის ნაკლებობა, რაც ხშირად სწორედ ახალგაზრდა ქალებში გვხვდება. ეს გამოწვეულია ყოველთვიური სისხლის დაკარგვითა და კვების ხშირ შეზღუდვასთან. წონის კლების მიზეზი ქალებში სხვადასხვა დიეტის მიმართავენ და უარს ამბობენ ხორცის გარკვეული ტიპის მიღებაზე, რომელშიც ეს ელემენტი ხშირად გვხვდება. ამავდროულად რკინა დოფამინის გამოყოფას უწყობს ხელს, რაც ძილის ხარისხზე პასუხისმგებელია.

**როგორ გავუმჯობავოთ უძილობა?** დღეს-დღეობით მკურნალობის ორი მეთოდი გამოიყენება - კოგნიტიურ - ქცევითი, რომელიც ლიდერი თერაპიაა და მედიკამენტური მკურნალობა. თუ პირველად უძილობაზე ვსაუბრობთ, რომლის გამოწვევი მიზეზი ჯერ ბოლომდე დადგენილი არაა, მაშინ კოგნიტიურ-ქცევითი თერაპიაა საჭირო. ეს მეთოდი მოიცავს დილისა და შუადღის ძილის შეზღუდვას, ფსიქოსტიმულატორული ნივთიერებების მიღების აღმოფხვრას და ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიური ფიზიკური ვარჯიშის დახურვას. ეს ჰიპნოზი არაა, მაგრამ ფსიქოთერაპიის განსაკუთრებული ფორმაა, როდესაც ადამიანს უხსნიან სად იქცევა ის ცუდად, არასწორად და სად კარგად. მისი ქცევა ისეა შეცვლილი ან იცვლება, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიღწევა ძილის გაუმჯობესება.

ეს რთული, მღელვარე სამუშაოა, რომელიც ექვსი კვირის განმავლობაში მიმდინარეობს. დღესდღეობით, ეს მსოფლიოში ნომერ პირველი მკურნალობის მეთოდია.

მკურნალობის მეორე მეთოდი მედიკამენტური თერაპიაა. არსებობს ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა: უძილობის აბებს აქვთ ბევრი გვერდითი მოვლენა და მათი ორ კვირაზე მეტი ხანს გამოყენება არ შეიძლება. მოუხდევად იმისა, რომ დღეს ბაზარზე ბევრი მედიკამენტი გამოდის და მათი გამოაყენება თითქოს უსაფრთხოა, მაინც არაა რეკომენდირებული მსგავსი აბების თვითობით მიღება. უმნიშვნელოა მათი მიღება ასევე თვითნებურად, ექიმის დანიშნულების და რეკომენდაციის გარეშე. პაციენტების 95%, რომლებიც სომნოლოგიურ ცენტრს მიმართავენ უძილობის ჩივილით, სამ თვეზე



ვალწევდი. მცირედი ეფექტი ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ უფრო ნაკლებად ვმფობთავი. აქამდე არა, მაგრამ ახლა უკვე ვფიქრობ, რომ ეს სერიოზული პრობლემაა. ჩემს ფსიქოლოგურ მდგომარეობაზე უკეთესად ძალიან იმოქმედა” - ეს არც ფილმის მთავარი გმირის მონოლოგია და არც წიგნის პერსონაჟის თავგადასავალი, ეს ერთი ჩვეულებრივი, 23 წლის ახალგაზრდის მონათხრობია გავით „შირაქიან“ იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს უძილობა ადამიანზე, ჯანმრთელობაზე, განწყობაზე, ურთიერთობებზე და, თქვენ სწორად მიხვდით - ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთ გავრცელებულ მდგომარეობაზე ინსომნიაზე ვსაუბრობთ. უანსალი ძილი ჯანმრთელობისა და კარგი განწყობის საფუძველია. რეგულარული ძილის დარღვევა და უძილობა კი იმუნოლოგიის დაქვეითებას, დალილობის ზრდას და დეპრესიას იწვევს. ძილი ადამიანის ჯანმრთელობის მთავარი ინდიკატორია, დადებითად მოქმედებს ყველა შინაგანი ორგანოს მუშაობაზე. სამედიცინო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ცერებრალური ქერქის კონკრეტული მონაკვეთები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სიფიზიოლას ადამიანის მხედველობაზე, ძილის დროს შინაგანი ორგანოებიდან იღებენ ინფორმაციას. ყოველთვის მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ღამის ძილის ხანგრძლივობისა და ხარისხის შენარჩუნება ჯანმრთელობის ერთ-ერთი მთავარი გარანტორიაა. ამის უგულვებელყოფა არ შეიძლება, რადგან ჯანმრთელი ძილი ადამიანის ჯანმრთელობის საწინდარია.

**როგორ მივხვდეთ, რომ ძილთან დაკავშირებული პრობლემები გვაქვს?** ნორმალურია, როდესაც ადამიანი 30 წუთის განმავლობაში იძინებს. თუ ადამიანი ამას ახერხებს, მას ძილთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ აქვს. თუ ეს დრო მეტია, მაშინ პრობლემები ნამდვილად არსებობს. მაგრამ კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომელიც ძილის დარღვევის არსებობას განსაზღვრავს, მისი სიხშირეა - ის, თუ რამდენად ხშირად ხდება უძილობა. დარღვევა ითვლება კვირაში სამი ან მეტი ღამე. თუ ადამიანს ცუდად სძინავს კვირაში ორჯერ, მაშინ ეს პრობლემას არ წარმოადგენს. არსებობს შემთხვევები, როდესაც უძილობა გარკვეულ პერიოდში ხდება. მაგ: მთელი კვირის განმავლობაში ძილი დარღვეულია, ადამიანს ცუდად სძინავს, შემდეგ კი მთელი თვის მანძილზე ყველაფერი ნესრიგდება. ეს ზუსტად სტრესული უძილობის მაგალითია, რომელიც ყოველ მეთოთხე ადამიანში გვხვდება. ეს პრობლემა არაა და ექიმთან კონსულტაციას ან აბების მიღებას არ საჭიროებს. თუმცა, თუ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა, უძილობას მკურნალობა დასაჭიროდება. თანაც ეს დროს მოითხოვს. არ შეიძლება პირდაპირ უთხრათ ადამიანს: „ნუ ნერვოზობ, დაიძინე“, რადგან მინც არ გაცივდება. ის რომ თავის პრობლემაზე აღარ „ჩაიციკლოს“, ამისთვის გარკვეული დრო და მუშაობაა საჭირო.

**რა არის უძილობა?** ექიმების განცხადებით, ინსომნიის დროს ადამიანს უჭირს დაძინება ან ძილის შენარჩუნება მაშინაც კი, როდესაც ამის რეალური შანსი აქვს. უძილობის მქონე ადამიანები, ძირითადად, თავიანთი ძილით უკმაყოფილონი არიან და, როგორც წესი, აწუხებთ: დალილობა, ენერჯის ნაკლებობა, კონცენტრირების სირთულე, განწყობის დარღვევა და შრომითუნარიანობის დაქვეითება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღის მდგომარეობის გაუარესება. ძილის დარღვევის დროს საკვანძო როლს სუბიექტური შეგძნებები ასრულებს. ხდება ისეც, რომ ადამიანს ძილი კარგი აქვს, მაგრამ მას მაინც უარყოფითად აფასებს. უძილობა ეს ადამიანის პაკუთარი ძილის მიძღვრობის საკითხია. პრობლემა არასაკმარისი, გაუმჯობესებული ძილი, ძილი ხშირი გავლენებით ან მდგომარეობა, როდესაც ადამიანს პირიქით, დიდხანს სძინავს.

**რა იწვევს უძილობას?** უძილობის ყველაზე გავრცელებული მიზეზი სტრესია. სტატისტიკის მიხედვით, სტრესთან დაკავშირებული უძილობა წელიწადში მსოფლიო მოსახლეობის მეთოთხედში მაინც ვითარდება. სტრესი კი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ყველაზე ხშირად კი მისი მიზეზი ინტერპერსონალური ურთიერთობებია: ადამიანი ველაცას ეჩხუბა და დაძინება არ შეუძლია, რადგან ის ამაზე ფიქრობს. არსებობს მძიმე დატ-

მეტი ხნის განმავლობაში განიცდიან ძილის დარღვევას. ამ შემთხვევაში ქრონიკულ ინსომნიაზე ვსაუბრობთ. ამ პრობლემის წინაშე მდგარი ადამიანების უმეტესობა ხვდება, რომ ამის მიზეზი სტრესია და თვითნებურად ცდილობენ პრობლემის მოგვარებას, პარალელურად იყენებენ ბუნებრივ მცენარეულ პრეპარატებს. დიას, ზოგჯერ ეს ხელს უწყობს უძილობის აღმოფხვრას, მაგრამ არა ყოველთვის. თუ სტრესული ვითარების დასრულების შემდეგ ძილი არ გამოუწონორდება, მაშინ ექიმთან მისვლაა საჭირო. კარგი სპეციალისტი დაგეხმარებათ ძილის დარღვევის შემართვი მიზეზის დადგენასა და სწორი მკურნალობის დანიშვნაში.

ძილის გაუმჯობესებაში პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მისი ჰიგიენის შენარჩუნებაა. ძალიან ხშირად უძილობის მიზეზი ძილის ორგანიზებაში ელემენტარული არეულობაა. ამიტომ, ასეთ დროს ადამიანმა აუცილებლად უნდა დანიყოს ძილის ჰიგიენის მონესრიგება. ამისთვის რამდენიმე დაუნერვლი კანონი არსებობს:

**უნდა დაფიქსიროთ დანოლისა და ადგომის დრო, იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს განმარტებული რეგულესი და ტვინი გარკვეული დროისთვის მოემზადოს დასვენებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაღვიძების დრო. მაგ: სამუშაო დღეებში დაკლებული ძილის ანაზღაურებას ადამიანი შაბათ-კვირას ცდილობს. დილით გვიან დგება. მაგრამ რაც უფრო გვიან დგება ის, უფრო მეტად უჭირს საღამოთ დაძინება. განსაკუთრებით კი კვირას, როცა შემდგომი დღე ორშაბათია და ისევ ახლიდან უნდა აღინაოდ ადგომა. შემდეგ ის მთელი დღე „გატყლილია“ და გაფანტული. ეს მანკური წრეა, რომელიც ქრონიკულ უძილობაშიც კი შეიძლება გადაიხარდოს. ამიტომ გაღვიძების დრო ერთი და იგივე უნდა იყოს.**

ძილის პირობები უნდა იყოს კომფორტული. არ უნდა იყოს ძალიან განათებული და სმაურიანი ოთახი, საჭიროა კომფორტული საწოლი და საბანი.

დანილის წინ უნდა შეზღუდოთ გონებრივი და ფიზიკური აქტივობა. ხშირი შეცდომაა ძილის წინ ტელევიზორის ყურება და წიგნის წაკითხვა. როგორც კი ადამიანი დასვენებას სანოლში, მას უნდა აუშუშავდეს დაძინების რეგულესი. როდესაც ადამიანი წეება სანოლში და ის გართობას იწყებს, ტვინი აქტიურად განაგრძობს ფუნქციონირებას.

შექმენით ძილის წინ ნასვლის რიტუალი. მაგ: დალიეთ მცენარეული ჩაი. ასეთი პროცესი ადამიანს დასვენებისა და მოღუენების საშუალებას აძლევს.

უარი თქვით ალკოჰოლზე - დიას, მცირედი ალკოჰოლი ხელს უწყობს დაძინებას, მაგრამ როდესაც მეტაბოლური პროცესი სრულდება, ძილი მოუსვენარი ხდება და ადამიანი ხშირად იღვიძებს. მასზე უარი განსაკუთრებით საღამოს უნდა თქვათ.

იკვებეთ სწორად - არ ჭამოთ ზედმეტი და ძილის წინ.

დღე, განსაკუთრებით დღის საათები, მზეზე გაატარეთ. ადამიანში, რომელიც მთელი დღე შენობაშია, მელატონინის გამოშუშავება ირღვევა და ის მისი ცხოვრების რიტმის დარღვევასაც იწვევს.

ივარჯიშეთ რეგულარულად. სანოლი გამოიყენეთ მისი პირვანდელი დანიშნულების - დაძინების მიზნით.

ხშირად ადამიანები შეგნებულად არ იძინებენ, რადგან ღამის საათებში უფრო ნაყოფიერად და ადვილად ხდება სამუშაოზე თუ შემოქმედებაზე კონცენტრირება. მათი აზრით ყურადღების გამფანტველი ფაქტორები და გარეგანი სტიმულატორები ამ დროს უფრო ნაკლებია. თუმცა, ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ ერთი უძილო ღამის შემდეგ ადამიანის სისხლში ჩნდება ენ მარკერები, რომლებიც ტვინის ქსოვილების დაზიანებაზე მოუთხოვენ. ხოლო ღამის ძილის არარსებობით გამოწვეული ლიპიდური პროფილის (ცხიმის მეტაბოლიზმი) დარღვევა უტოვდება სწრაფი კვების ყოველწლოური მოხმარების ქვივალენტს. ასე რომ, დასვენების გამოტანა თქვენთვის მოგვიწევია.

მოამზადა შუშუნა ყანაშვილიმ



ს ს შ ა

გ ა მ ო ს ა თ ს ო ვ ა რ ი

ი ლ ი კ ო შ ა რ ვ ა ძ ე



ბევრი მაქვს სათქმელი შენთვის - გული მტკივა, თითქოს ჩვევად მექცა, ასე, გაზეთის ფურცლებიდან შენთან საუბარი. თურმე არავინ იცის, ვის რას უმზადებს ბედისწერა: ერთი და იგივე დღე ზოგისთვის ცხოვრების დასაწყისია, ზოგისთვის - დასასრული.

შვიდი წლის წინ, 2012 წლის 21 ნოემბერს, სამყაროს დასასრული იყო ჩვენთვის... იმ დღემ მიგვახვედრა, რომ უძღურები ვიყავით უფლის ნების წინაშე... ჩვენთვის იქ გაჩერდა დრო, ჩემო ილიკო.

საშინელ სიცარიელეში დავრჩი შენს გარეშე, თითქოს უნდა გამოჩნდე, გამოლიმო და შემომანათო შენი ლამაზი, ცისფერი თვალები. მენატრება შენი სიტყვების მოსმენა - „დე, სად ხარ!“ დღემდე ვერ ვივარებ ამ მწარე რეალობას, შვილო.

უდროოდ ჩაიფერვლა შენი ლამაზი სიცოცხლე. 38 წლის ახალგაზრდას, სიცოცხლით სავსეს, მუდამ ენერგიულს და ხალისიანს, ბედისწერამ არ გაცალა მამობის სიტყვებს შეგრძნება და მათთან გახარება. მეხის გავარდნას ჰგავდა შენი უდროოდ გარდაცვალება. ჩემო ილიკო, შენს შვილებს - ნიას და ილიკოს,

აკლიათ შენი სიტბო, სიყვარული და ძლიერი საყრდენი. ამ უდიდეს დანაკლისს მათ ვერაფერი და ვერაფერი შეუვსებთ. რამდენი ბედნიერი წელი და დღე დაგრჩა გასავლელი, რამდენი ოცნება დაგრჩა აუხდენელი შენს საყვარელ შვილებთან ერთად. მათ ხსოვნაში მარად დარჩები ახალგაზრდა, ლამაზ და საყვარელ მამიკოდ, რომელსაც ბედისწერამ შვილების გაზრდა და მათთან გახარება არ აცალა.

შენ ხომ უზომოდ ალალი, ერთგული, უღალატო ახალგაზრდა იყავი, გამორჩეული შენი თავმდაბლობით, უაღრესად მიმტევებელი და კეთილი გულით. ყველას შენი ბუნებიდან და ადამიანობიდან საზღვრავდი, ყველა სანდო ადამიანად მიგაჩნდა, მაგრამ გვიან მიხვდი, რომ ყველაფერი ასე არ ყოფილა სინამდვილეში. იქნებ სწორედ შენმა ასეთმა ხასიათმა და მიმდობლობამ ყველას მიმართ, შეიტანა წვლილი შენს უეცარ გარდაცვალებაში. ეს ფიქრი არ მასვენებს, შვილო, სულ ეჭვებში ვარ.

ღმერთმა დაგაჯილდოვა გარეგნობით, ნიჭით და რა იქნებოდა, სიცოცხლეც გაეხანგრძლივებინა შენთვის და არ მოვსწრებოდი ამ დიდ უბედურებას. უშენობას ვერ მოვერიე, მხოლოდ შენთან შეხვედრის მოლოდინით ვცოცხლობ. როდის მიხმობ შენთან, შვილო, როდის?!

დრო ყველაფრის მკურნალიაო, ეს ხომ საშინელი ტყუილია, იგი ვერ კურნავს შენი არყოფნით გამოწვეულ ტკივილს. დრო გაუსაძლისი მონატრება და აუტანელი ტკივილია.

„დრო მკურნალია“ - ეს ორი სიტყვა გულში ტყვიასავით მხვდება და მოუშუშებელ იარაღს უფრო მტკივნეულს ხდის. განა შეიძლება, დედისთვის და ისიც ერთადერთი შვილის დამკარგავი დედისთვის დრო მკურნალი იყოს?! - შეიძლება, ეს შორიდან მაყურებელი თვალისთვის ასე ჩანს, მაგრამ გულში დანთებულ ცეცხლს ვერაფერ ვერც ხედავს და ვერც გრძნობს. ღმერთს ვთხოვ, რომ ეს საშინელი განსაცდელი არცერთ დედას არ გამოაცდევინოს.

დრო კი არ არის მკურნალი, არა, სიკვდილია საზარელი, უძლეველი და დაუნდობელი. მასთან არც ქრთამი, არც მუქარა, არც ხვეწნა-მუდარა და არც დედის მწარე ცრემლები არ სჭრის. დედას, შვილის სიკვდილით მიწასთან ასწორებს, თრგუნავს და მხრებზე ჰკიდებს მწარე ტკივილით დამძიმებულ ტვირთს და აიძულებს, სიცოცხლის ბოლომდე მის ზიდვას.

მეც ეს მწარე ხვედრი მარგუნა ბედისწერამ, რომ ამ მძიმე ტვირთით მხრებდამძიმებულმა უნდა გავლიო ჩემი ცხოვრება. მაგრამ იმედი მაქვს, ჩემი სიცოცხლის გზის დასასრულთან შენ შემომხედები და შენი ძლიერი ხელებით ჩამომხსნი მხრებიდან ამ მძიმე ტვირთს, მეც გავიშლები მხრებში, გაგიშლი ხელებს და ჩაგიხუტებ გულში ამდენი წლის უნახავ შვილს და გეტყვი: გენაცვალოს დედა, როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს, მოვალნიე შენამდე, დამალა უშენოდ ცხოვრებამ, ჩემო ილიკო.

ამ ბედნიერ შეხვედრამდე არ ვიცი, რა დრო დამჭირდება, ვიდრე ეს მოხდება, აქედან არაფერს მოგაკლებ, რაც კი აუცილებელი და შენთვის საჭირო არის, შვილო.

გაზეთის ფურცლებზე ამ წერილების გამოქვეყნებით უკვდავყოფ შენს სახელს მათ ხსოვნაში, ვისაც გული დასწყვიტე შენი წასვლით როგორც თბილისში, სადაც ვცხოვრობდით, ასევე დედოფლისწყაროში, შენს საყვარელ უბანში, ევდოშვილის ქუჩაზე, სადაც პაპა-ბებიასთან ბედნიერი ბავშვობა გაქვს გატარებული, შენი სიცოცხლე დღემდე ახსოვს უფროს თაობას. შემდეგ კი ძალიან მოკრძალებულ და განონასწორებულ ახალგაზრდად გაგიცნეს. შენ პაპა-ბებიის სანატრელი შვილიშვილი იყავი.


შვიდი წელი გავიდა, რაც სასუფევლის კარი შეაღე, იმედი მაქვს, ღმერთი სხვაგვარად არ ინებებდა, თავის კალთის ქვეშ ეყოლები ღვთისმშობელს. ღმერთმაც ხომ თავისთან მთავარანგელოზობის დღეს წაგიყვანა, შვილო.

შენ მუდამ დარჩები მეგობრების, ახლობლების გულში, რამეთუ მართალნი ცოცხლები არიან მაშინაც, როცა კვდებიან, ცოდვილნი კი ცოცხლებიც მკვდრები არიან.

ეს წერილი ერთადერთი გარდაცვლილი შვილის დედის გულის ტკივილი და მონატრებაა და მას ილიკო ჰქვია.

შენი მონატრებული დედა ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე

შ ო თ ა ბ ი კ ა შ ვ ი ლ ი



86 წლის ასაკში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, დედოფლისწყაროს ინტელიგენციის ძველ თაობას ერთი უაღრესად კეთილშობილი, ალალ-მართალი, ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანი შოთა ბიკაიშვილი გამოაკლდა. მიუხედავად იმისა, რომ ის პროფესიით ჟურნალისტი არ იყო, მის კვალიფიციურ ხელნერას მკითხველი სულ მუდამ გამოარჩევდა. ენციკლოპედიური განათლების და სიღრმისეული აზროვნების, პოეზიასა თუ მწერლობაზე, სპორტსა თუ ხელოვნებაზე შეყვარებული ჩუმად ატარებდა ამ განძს და არასოდეს ამტებდა თავს ვინმეს, თუმცა, გარემომოყვანი მუდამ ვალთვრდით მის გამორჩეულ შესაძლებლობებს. 44 წელი შეაღია გაზეთ „შირაქის“ რედაქციას და 77 წლის ასაკში, საკუთარი ინიციატივით, გადაწყვიტა ღირსეული დასვენება. თუმცა, ურთიერთობა არასდროს გაუწყვეტია, ერთმანეთის ჭირისა თუ ლხინის მოზარენი ვიყავით მუდამ. 80 წლის იუბილე გადაიხადა, სიტბოთი და სიყვარულით სავსე საღამო გამოვიდა, მოვეფერეთ, სათანადოდ დავაფასეთ მისი შრომა. ბევრი გვაქვს გასახსენებელი, რადგან შოთა გამორჩეული ადამიანი იყო, გარეგნულად ჩუმსა და თავშეკავებულს განუშეორებელი იუმორი ჰქონდა. ოცხოვრა ისე, რომ უკან მოხედვის არასოდეს შერცხვენია. საუკეთესო ოჯახი შექმნა, ორი შვილის და ექვსი შვილიშვილის პატრონს მზრუნველობა და პატივი არ მოჰკლებია, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. მთავარია, სიკეთის კვალი დატოვო ქვეყნად. სწორედ ასეთი ცხოვრებით იცხოვრა მანაც. თანდათან მიიკრიფებინა ზეციურ სოფელში ძველი „შირაქელები“. გოდერძი ტოკლიკიშვილის, თინა ფავლენიშვილის, ლილა ჯინაშვილის, მაყვალა ალუღიშვილის ნათელ ხსოვნას და მონატრებას ახლა შოთა ბიკაიშვილიც შეუერთდა. ის დარჩება ჩვენს მეხსიერებაში მისაბამ ადამიანად, რომელმაც სიკეთე და სიყვარული გვასწავლა. უფალმა ნათელი დაგიმკვიდროს, ჩვენო შოთა, ჩვენო ძვირფასო კოლეგავ და მეგობარო!

შენი „შირაქელები“

მეუღლე ნანა შანშიაშვილი, შვილები: ლალი, მუხრანი, სიძე დავით შავდათუაშვილი, რძალი შორენა ბოლქვაძე, შვილიშვილები: დავით, სალომე, ლუკა შავდათუაშვილები, მარეხი, ხატია, ანი ბიკაიშვილები იუნყებიან შოთა ბიკაიშვილის გარდაცვალებას. დაიკრძალა 16 ნოემბერს ქ. დედოფლისწყაროში.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის და სტამბის ახლანდელი და ყოფილი თანამშრომლები გულისტკივილით იუნყებიან ღვანლმოსილი თანამშრომლის შოთა ბიკაიშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

ძმისცილი ნაზი მოსაშვილი, ძმისშვილი ილიკო ბიკაიშვილი, რძალი თიკა ჭავჭავანიძე, ძმისშვილისშვილები: ნია, ალექსანდრე იუნყებიან შოთა ბიკაიშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ს ა ო კ უ ვ ა ც ი ო კ ა ლ ე ბ ის მ ი ა რ გ ა ტ ა ც ე ბ უ ლ ქ ა რ თ ვ ე ლ ე ქ ი მ ს წ ი ნ ა ს წ ა რ ი ო რ თ ვ ი ა ნ ი პ ა ტ ი მ რ ო ბ ა შ ე ი ფ ა რ დ ა

ოსური მედიის ცნობით, ლენინგორის (ახალგორი) საოლქო სასამართლომ, საქართველოს მოქალაქე ვაჟა გაფრინდაშვილს, ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლო პროცესი დღეს გაიმართა.

„ლენინგორის საოლქო სასამართლოს 2019 წლის 15 ნოემბრის განაწყვეტილებით, დაკავებულ საქართველოს მოქალაქე ვაჟა ჯონდოს ძე გაფრინდაშვილის მიმართ მოხდა აღკვეთის ღონისძიების, ორთვიანი პატიმრობის შეფარდება“, -აცხადებენ „კავებებს“ პრესსამსახურში.

ვაჟა გაფრინდაშვილი საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა რამდენიმე დღის წინ გაიტაცეს. მას ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთას ედავებიან.

ჩვენი ინფორმაციით, ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან ვაჟა გა-

ფრინდაშვილის მისვლის მიზანი, სავარაუდოდ, ახალგორში მცხოვრები 67 წლის თამარ გიგაურისთვის სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა იყო.

ახალგორის განათლების განყოფილების ყოფილი უფროსი და დამსახურებული პედაგოგი თამარ გიგაური, 3 ნოემბერს 7 მეტრიან ჭაში ჩავარდა. მას სხეულის მრავლობითი დაზიანებები და მოტეხილობები აქვს.

თამარ გიგაური ახალგორში დის სახლში იმყოფება. ოჯახის არაერთი თხოვნის მიუხედავად, ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლება ამ დრომდე არ იძლევა უფლებას, რომ პაციენტი სამკურნალოდ თბილისში გადმოიყვანონ.





# ვინ წარადგენს დედოფლისწყაროს მუსიკალურ კონკურსში?

მუსიკალური მეგა-შოუ „ახალი თაობა“ შესარჩევი ტურები დასრულდა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან რეგიონალურ კონკურსზე ორი გამარჯვებული გამოვლინდა, რომლებიც რეგიონალურ ტურში მოხვდნენ და ლაივ-კონცერტებზე კახეთის სხვა მუნიციპალიტეტებიდან წარდგენილ კონკურსანტებს გაეჯიბებინათ. გამარჯვებულთა შორის მოხვდნენ ნინო ცხოვრებაშვილი და ლუკა ყაჭაშვილი, რომლებიც უკვე ემზადებიან. გადაცემები ტელეკომპანია „გურჯაანის“ ეთერში შეგიძლიათ ნახოთ.

ბოლო საკონკურსო კონცერტზე დედოფლისწყაროდან რეგიონალურ ტურში გადასასვლელად სამი კონკურსანტი იბრძოდა, თუმცა, ჟიურის

გადწყვეტილებით, ლიზი ბუთხუზი პროექტს გამოეთიშა. უკვე მოქმედებს სპეციალური სატელეფონო ნომრები, რომლებზეც ხმის მიცემა შეგიძლიათ. ხმის მიცემა უკვე დაიწყო. ნინო ცხოვრებაშვილი - 0 903 300 317; ლუკა ყაჭაშვილი - 0 903 300 318.

მუსიკალური კონკურსის დეტალებზე გაზეთი „შინაპი“ დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ილია მარტყოფლიშვილს ესაუბრა. ის ჟიურის ერთერთი წევრი იყო.

„ლიზი ყოჩიაშვილმა, რომელიც კონკურსის ერთადერთი „ოქროს ბარათის“ მფლობელი იყო, თავადვე აღარ ისურვა კონკურსში მონაწილეობის გაგრძელება და სამწუხაროდ,

პროექტი საკუთარი სურვილით დატოვა. მისი და, მარიამ ყოჩიაშვილი კი კონკურსს დედოფლისწყაროს კონცერტის შემდეგ დაბალი ქულების გამო გამოეთიშა. ამდენად, ხუთეულიდან შემდეგ ტურში სამი კონკურსანტი გადავიდა და საკონკურსო კონცერტი გურჯაანში გაიმართა. გურჯაანში წარმატებული გამოდგა ნინო ცხოვრებაშვილის და ლუკა ყაჭაშვილის გამოსვლა და ისინი მთავარ საკონკურსო კონცერტებზე დედოფლისწყაროს სახელით მოხვდნენ. საბოლოო ჯამში, კონკურსის ყველა ეტაპი იმაზე მეტად წარმატებული და საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ, ან მის ორგანიზატორებს გვეგონა. დედოფლისწყაროში გამართულ საკონკურსო კონცერტზე ყველა ძლიერი გამომსვლელი იყო, ჟიურის სრულ შემადგენლობას გადწყვეტილების მიღება უჭირდა კიდევ. მეც გამოგიტყდებით და სუბიექტური ვიყავი და ლაფსუების მიუხედავად სხვა ჟიური თუ 8-9 ქულას წერდა, მე ყველა დედოფლისწყაროდან კონკურსანტს 10 ქულას ვუწერდი, არცერთი ცხრიანი არ დამინერია, ვცდილობდი სხვა ჟიურის მიერ დაკლებული სხვაობა ამით შემეგვსო,“ - აღნიშნავს ილია მარტყოფლიშვილი.

კონკურსანტების გამოსვლის შეფასება ვთხოვეთ მათ ადგილობრივ პედაგოგს, დედოფლისწყაროს კულტურის სახლის თანამშრომელს ნინო ნიკვაშვილს:

„გურჯაანში გამართულ მომდევნო ტურში ჩემი ორი მოსწავლე მონაწილეობ-

და ლიზი ბუთხუზი და ლუკა ყაჭაშვილი. ისინი სრულყოფილად იყვნენ მომზადებული ამ ტურისთვის და დიდი ძალისხმევა ჩადეს, რომ წარმატებული გამოსვლა ჰქონოდათ. მაგრამ, მოგეხსენებათ დიდი სცენა და ტელე გადაღებები დამატებითი ფაქტორია და ლიზიმ ნერვიულობის გამო თავის სიმღერაში რაღაც დეტალები გააფუჭა. ამის გამო შედარებით დაბალი ქულები მიიღო, რის ხარჯზეც პროექტს გამოეთიშა. თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ მას აქვს საუკეთესო სასიმღერო ტემბრი, რაც მომავალში წარმატებებს მოუტანს და ცხადია, ამით არ მთავრდება მისი განვითარება. რაც შეეხება შემდეგ გამომსვლელს, ლუკა ყაჭაშვილი ღირსეულად წარსდგა ჟიურისა და აუდიტორიის წინაშე და კვილავაც მოხიბლა ჟიურის შემადგენლობა, უმაღლესი შეფასება მიიღო და ჟიური ფეხზე წამოუდგა. ამ

ტურის ლიდერი სწორედ ლუკა ყაჭაშვილი გახდა. იმედი მაქვს, რომ ლაივ-კონცერტებზეც ის სრულად დაიხარჯება და წარმატებით გაივლის ფინალისკენ მიმავალ მომდევნო ტურებს. ლუკა ტურთან ტურამდე გაიზარდა და გახდა უფრო არტისტული და გახსნილი. მოიხსნა კომპლექსები და სცენაზე თავდაჯერებულია. ჟიურიმაც აღნიშნა, რომ როგორც იქნა მოახერხეს სიმღერის დროს მისი აცეკვება. მას აქვს ამბიცია, რომ იდგეს ფინალში და ასახელოს თავისი რაიონი,“ - აღნიშნავს ნინო ნიკვაშვილი.

ლაივ კონცერტები 24 ნოემბერს ახმეტის მუნიციპალიტეტიდან დაიწყება და ყოველ შაბათს ტელეკომპანია „გურჯაანის“ პირდაპირ ეთერში გავა. პირველი ადგილის დასაკავებლად კახეთის შვიდი რაიონიდან სულ 15 კონკურსანტი იბრძობს. გამარჯვებულს ავტომატული ელოდება.

## ს ი ლ ქ ნ ე ტ ი ს ს ა ქ მ ე

გაზეთ „შინაპის“ 2019 წლის თებერვლის ნომერში დაიბეჭდა სტატია ჩვენი რაიონის მაცხოვრებლის, ქეთევან თევდორაძის სატელეკომუნიკაციო კომპანია „სილქნეტის“ მიმართ დაპირისპირების თაობაზე. ქალბატონი ქეთევანის მხრიდან უკმაყოფილების მიზეზი ეხებოდა დედოფლისწყაროს, რუსთაველის 53-ში მდებარე შენობაში იჯარით აღებული ფართს, რომელიც წარმოადგენს კომპანია „სილქნეტის“ საკუთრებას. აღნიშნულ ფართში ქალბატონმა ქეთევანმა, კომპანიასთან შეთანხმების გარეშე, საკუთარი სურვილისამებრ, 8 თვის განმავლობაში აწარმოა სარემონტო სამუშაოები. იმავდროულად, „სილქნეტში“

განხორციელდა კომპანიის საკუთრებაში მყოფი ფართების ოპტიმიზაცია. კომპანიამ მოიჯარა, მათ შორის დედოფლისწყაროს, რუსთაველის 53-ში მდებარე შენობის მოიჯარეს, ქალბატონ ქეთევან თევდორაძეს წინსწრებით შეატყობინა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მიერ საიჯარო ხელშეკრულების პირობები იქნა დაცული, ამ შეტყობინებამ გაოგნა ქეთევან თევდორაძის უკმაყოფილება, რასაც მისი მხრიდან მოყვა კომპანიის მიმართ უსამართლო ბრალდებების გაყვლება, მათ შორის ადგილობრივი ტელევიზიითაც. აღნიშნულმა

ფაქტმა გამოიწვია შემდგომი ურთიერთდაპირისპირება და გაუგებრობა, თუმცა, „სილქნეტმა“ თავიდანვე გაითვალისწინა ქეთევან თევდორაძის ფინანსური მდგომარეობა და კეთილი ნების საფუძველზე, გამოთქვა მზაობა, რომ აუნაზღაურებდა დანახარჯებს იმ გონივრული დანახარჯების ფარგლებში, რაც ითვალისწინებს „სილქნეტის“ კუთვნილი ფართის ინტერიერის მხოლოდ ნეიტრალური ცვლილებისთვის განუულ სარემონტო სამუშაოებს და არა დამატებით დეკორატიულ დეტალებზე განუულ ხარჯებს, რაც არ არის აქტუალური სილქნეტის საოფისე ფართებისთვის. ამის მიუხედავად, ქეთევან თევდორაძის მხრიდან,

არ მოხდა შეთანხმება. რამდენიმე თვისანი მოლაპარაკებების შემდეგ ქ-ნ ქეთევანი დათანხმდა „სილქნეტის“ პირვანდელ შეთავაზებას. დავა დასრულდა მოიჯარის მხრიდან შეთანხმებით იმაზე, რომ მის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოები არ იყო შეთანხმებული ფართის მესაკუთრესთან და, შესაბამისად, კომპანიას არ გააჩნდა აღნიშნული ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება და მზაობა მხოლოდ კეთილი ნების საფუძველზე იყო გამოთქმული. შედეგად, მხარეებს შორის გაფორმდა მორიგების აქტი, რომლის თანახმადაც კომპანია „სილქნეტი“ ქეთევან თევდორაძეს აუნაზღაურებს სარემონტო სამუშაოებზე განუულ ხარჯებს.

**ანჯორ კირავლიძეს, თამარ გადაუხდეს!**

გილოცავთ შვილების - ლევან კირავლიძის და სოფო ჩხაიძის ქორწინებას. ვუსურვებთ მათ სიყვარულს, სიხარულს, უღრმე ბედნიერებას და აკვანთა სიმრავლეს.

სს კოლეჯ „ანისი“ თანამშრომლები

**უ ლ ო ც ა ვ ე ნ !**

**ლია ზეითნიშვილს! პაპლე თაყაიძეს!**

უდგას ჩვენს ორგანიზაციას, რისთვისაც მადლობას ვუხდით მათ. თითოეულ მათგანს ვუსურვებთ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს.

ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მნიშვნელოვანი ასოციაციის ბაზაში და ნაპირი.

**ვაკანსია**

ტექნიკის მალაზია BEKO-ს (ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე) ესაჭიროება კონსულტანტი გოგონა. მსურველებმა დარეკონ ნომერზე:

☎ 557 61 51 86 ან მიაკითხოთ შემდეგ მისამართზე: რუსთაველის ქ. № 53.

ამინდი		დედოფლისწყარო																
ორშაბათი 18.11	სამშაბათი 19.11	ოთხშაბათი 20.11	ხუთშაბათი 21.11	პარასკევი 22.11	შაბათი 23.11	კვირა 24.11	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე						
☀	☾	☀	☁	☁	☁	☀	5°	4°	6°	4°	0°	-3°	-3°	-4°	-3°	-4°	-2°	-3°

გამომცემელი შპს „შინაპი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შინაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	--	---	---